ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** პარასკევი, 14 სექტემბერი № 1582

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе»**. ტელეფონი № 372.

„ცნობის ფურცლის" მე-1583 ნომერი გამოვა კვირას, 16 სექტემბერს

ქართული თეატრი

კვირას, 16 სექტემბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება
ძ-ნ ჩიქოვანისა და ბ. ლანდის სადებიუტოდ

პატიოსნება

კომედია 4 მოქ., თხზ. ზუდერმანისა, თარგ. ახნაზაროვის.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ლეჟავა, გარელი, აბხაზიშვილი, ჩიქოვანი; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ლანდი, იმედაშვილი, სარჯველაძე, ურუშაძე, მირიანიშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

მზადდება სუნდუკიანცის 3 მოქ. კომედია „**დაქცეული ოჯახი**"; შემდეგი წარმოდგენა იქმნება ხუთშაბათს, 20 სექტემბერს.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ვ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი. ქალთა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

9 **ე. გ. ფეოდოროვი**—შინაგანი და საბავშვო ს—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სალოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ტელეფონი № 274. (წლ.)

მთავრობის განკარგულებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მდივანი აზ. **სიმონ კვიტაშვილი** დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან თანახმად თხოვნისა.

ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-6 ხარისხის მოხელე **ვლადიმერ შავგულიძე** გადაყვანილ იქმნა იმავე თანამდებობაზე ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

ჩარიცხულ იქმნა კავკასიის საქცეზო სამართველოს კანცელარიის მოხელედ **გერასიმე ზაზანაშვილი**.

ტფილისის საკონტროლო პალატის კანცელარიის მოხელეს **თავ. ჯორჯაძეს** ებოძა კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

სოფელი და ქალაქი *)

IV

ჩვენი მოსაზრებანი სოფლის და ქალაქის ეკონომიურ წარმატებაზე, ჩვეულებისამებრ, არ მოეწონა „კვალს" და მის ახლად მოვლენილ წინამძღოლს ბ. მოსაუბრეს. ბ. მოსაუბრემ არამც თუ არ მოიწონა ჩვენი აზრები, გაგვიჯავრდა, გაგვლანძღა, მკითხველის აშუჩად აგდების სურვილი დაგვწამა და ბოლოს ერთი პოლიციური განკარგულებაც მიაკერა თავის მეთაურს: „საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა ბოლო მოეღოს, ბრძანებს ბ. მესაუბრე, ასეთ უთავბოლო ლაზღანდარობას ჩვენ ნორჩ მწერლობაშიო". ავტორი „უთავბოლო ლაზღანდარობას" უწოდებს იმას, რომ ჩვენ ორიოდე სიტყვა ვსთქვით წვრილ მრეწველობის გამაგრებაზე და წარმატებაზე თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში. „კვალმა", კიდევ ერთხელ, თვალსაჩინოდ, დაგვანახვა თავისი ამაყობა, აზრის სივიწროვე, ქედ-მაღლური ლაპარაკი მოპირდაპირესთან: კიდევ ერთხელ, თავის ღირსების დასამცირებლად, დაგვარწმუნა, რომ მისი სისუსტე „დათმობის" უარ-ყოფაშია და მისი ფუქსავატობა ფართო, მეცნიერულ აზრის შეგინება-შელახვაშია. ნამდვილი, ნათელი და დასაბუთებული აზრი ყოველთვის მშვიდი და წყნარია, დარბაისელი და ფრთხილი. ჭეშმარიტი მეცნიერება გადაწყეტით არას ამბობს, სანამ ხელში არ აქვს უტყუარი საბუთები. და თუ მეცნიერების ხასიათი ამგვარია, მით უმეტესად საზოგადოებრივ მეცნიერების დასკვნა უნდა იყოს კარგად აწონ-დაწონილი. ჰყვირის და ამაყობს „ფილისტერი", ილანძღება და მუშტებს გიჩვენებს „უვიცობა". თუ კაცს ხელში საბუთი და აზრი არა აქვს, იძულებულია მუქარას მიჰმართოს, რათა, გარეგნობით მაინც, მკითხველის თვალში დაინარჩუნოს ბურთი და მოედანი.

თავი დავანებოთ ამას. ჩვენ არა ერთხელ გვილაპარაკნია ამგვარ მოვლენაზე. უნებლიედ ღონდებით და გიკვირთ, რად მოიკიდა ფესვი ამ სამწუხარო მოვლენამ ჩვენს ლიტერატურაში?. რადა გვანან ასე გასაოცრად ე თი-ერთმანერთს ჩვენი მწერლები? რადა ვწერთ ისე, რომ მოპირდაპირეს პასუხის გაცემის სურვილიც ეკარგება? თუ ჭეშმარიტებაა ჩვენთვის ძვირფასი და სანატრელი, რა გვაჯავრებს? თქვენ ბრძანებთ დიდი კაპიტალია ამ ჟამად გაბატონებული—ეს არის თქვენი აზრი, მეცნიერების დასკვნა და ცხოვრების სინამდვილე. თქვენ გეუბნებიან—დიახ, დიდი კაპიტალი გაბატონებულია, მხოლოდ, ამასთან ერთად, საშუალო, პატარა და წვრილი კაპიტალიც იდგამს ფესვს ამავე ცხოვრებაში. ამას გვეუბნება მეცნიერება და ცხოვრება. თქვენ ბრძანებთ, მომავალი—კაპიტალის კონცენტრაციააო, გიპასუხებენ—მომავალი კაპიტალის დეცენტრალიზაციაა. თქვენ ბრძანებთ, ვინც ამას ამტკიცებს, უვიცი, ბრიყვი, ოხუნჯი და ლაზღანდარა ყოფილა. რად ამბობთ ამას, თუ ჭეშმარიტებას ეძებთ? ან იქნება მართლა ჰგონიათ, რომ მეცნიერებამ უკვე საბოლოვოდ გადაწყვიტა და გააკვლია კაპიტალის ზრდის და წარმატების მიმდინარეობა? თუ ჭეშმარიტება გიყვართ და მეცნიერების რაიმე გაგეგებათ ამას ვერ იტყვით. თუ მეცნიერება თქვენთვის ცარიელი სიტყვა არ არის, უნდა გცოდნოდათ, რომ ამ ჟამად ევროპის სოციალურ მწერალთა დასი ორ ბანაკად გაიყო და ის კითხვა, რომელიც თქვენ სამუდამოდ გადაწყვეტილი გეზმანებათ, სადავო კითხვად გამხდარა?.. ჩვენთვის ყველა ეს უმნიშვნელოა. ჩვენ ჩვენის კანონებით ვხელმძღვანელობთ, ჩვენის საკუთარის ზნეობით დაბევრს არას ვნაღვლობთ, რომ ჩვენი შრომა უფრო ჩხირ-კედელაობას მოაგონებს. სამწუხაროა ყველა ეს, მეტად სამწუხარო!

მაგრამ ვიცით, ამით ვერავის დავარწმუნებთ, მით უმეტესს ჩვენს მოპირდაპირეს. ისევ ცხოვრებას და მეცნიერებას მივმართოთ. ცხოვრება და მეცნიერება მჭერ-მეტყველებაზე ძლიერია. ვისაც ჩაფიქრების ნიჭი აქვს, გაიგებს მეცნიერების ნამდვილ აზრს და ცხოვრების უტყუარ მიმართულებას.

ჩვენა ვსთქვით, რომ ინგლისში ოფიციალური სტატისტიკა 1895 წლამდე არ არსებობდა. ბ. მოსაუბრე გვიპასუხებს—„ეს მტკნარი სიცრუვეა და ნიშნავს ავტორის (ჩვენის) უვიცობას ამ საგნის შესახებო" და ჩვენი „სიცრუვეს" დასამტკიცებლად ახალ სახარების „კაპიტალის" ფურცლებზე გვითითებს. 1860 წ. მარკსმა სთქვაო, რომ ინგლისში არის „შეუწყვეტელი ოფიციალური სტატისტიკა ინდუსტრიაზე". ვინ არის მართალი, ვინ არა, ამას მკითხველი გაიგებს, თუ გადაშლის ინგლისის საპარლამენტო დადგენილების კრებულს, ეგრედ წოდებულ „ლურჯ წიგნს" (Blue book), 1895 წლისას. იქ ნახავს „Factory act"-ს, რომლის ძალით, მხოლოდ 1895 წლიდამ მოყოლებული ინგლისში არსდება ოფიციალური სტატისტიკა. ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი, მხოლოდ ჩვენმა მოპირდაპირემ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ჩვენ მიერ დასახელებულ ოფიციალურ სტატისტიკის წყაროს—Annual Report of the chief Inspector.

მარკსმა სთქვაო. მარქსმა სხვა რამეცა სთქვა, მაგალითად ამტკიცებდა იმავე „კაპიტალში", რომ ჯონ ბრაიტის აზრი, ვითამ ნახევარი ინგლისი 150 მემამულეს ხელში იყოს და ნახევარი შოტლანდია—12 მემამულესი—მართალი, დაურღვეველი აზრიაო. წაიკითხეთ ბროდრიკის გამოკვლევა ინგლისის მიწის მფლობელობაზედ *) და დარწმუნდებით, რომ მარკსის მოძღვრება შესახებ ინგლისის მამულების კონცენტრაციისა სინამდვილეს და ჭეშმარიტებას არის მოკლებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. მოსაუბრემ საჭიროდ არ სცნა შეეჩერებინა თავისი ყურადღება იმაზედ, თუ რაცა ვთქვით ჩვენ სოფლის მამულის ევოლიუციაზედ. ამ უკანასკნელის საგნის შესახებ „მას (ჩვენ) კიდევ უფრო გაუგებარი და ყოვლად უმნიშვნელო ცნობები მოჰყავს», ასე ამბობს ბ. მოსაუბრე—მაშ ისევ ბროდრიკს დავუგდოთ ყური. იმის მოწმობას თვით ბ. მოსაუბრეს თვალშიაც ექმნება მნიშვნელობა.

1876 წელს 33,000.000 აკრიდამ, 14,000,000 აკრი მიწა ეკუთვნოდა (ინგლისში და უელსში) 1,704 მემამულეს, თვითვეულს მათგანში ჰქონდა 3,000 აკრი და მეტიც. დანარჩენი 19 მილ. აკრი იყოფებოდა 150.000 მესაკუთრეთა შორის. 1892 წელს 176,520 იყო იმისთანა, რომელთაც თვითეულად ჰქონდათ არა უმეტესს 10 აკრისა.

ის, რაც წინა წერილებში ვსთქვით სოფლის მამულის ევოლიუციაზედ, უფრო ნათლად გამოაშკარავდება შემდეგის ცხრილიდამ:

მამული: გექტარი	1885 წ.	1895 წ.	მომატება თუ დაკლება
2— 20	232,955	235,481	+2526
20— 40	64,715	68,625	+1910
40—120	79,573	81,245	+1672
120—200	13,877	13,568	— 307
200 მეტი	5,489	5,219	— 207

ასე რომ ინგლისში მხოლოდ 2,46%-ია ძლიერ დიდი მემამულებისა, 27—28%-კი მთელი შემუშავებულ ტერიტორიისა დიდ მემამულეთ უჭირავთ და 66% ამუშავებენ გლეხები.

შემდეგ წერილში მოვიყვანთ ცნობებს ბელგიის, პრუსიის და საფრანგეთის შესახებ. აგრეთვე დავუბრუნდებით ქალაქების მრეწველობას, რათა მკითხველს დარჩეს გამორკვეული და მარტივი შეხედულება ამ საკამათო საგანზედ.

არჩილ ჯორჯაძე.

---

*) იხ. „ცნ. ფურც." №№ 1535, 1536 და 1537.

*) „English Land and English Landlords".

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

12 სექტემბერი

პეტერბურგი. 12 სექტემბერს დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე საზღვარ გარედ წავიდა.

12 სექტემბერს საზღვარ გარეთიდან პეტერბურგში დაბრუნდა პრინცი კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგელი ოჯახითურთ.

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლით ფინანსთა მინისტრს ნება ეძლევა დანიშნოს ხოლმე სადგილ-მამულო ბანკებში ფინანსთა სამინისტროს რწმუნებულნი.

კურგანი ციმბირის ერბოთი მოვაჭრეთა კრება დამთავრდა. კრებებს 70 კაცი ესწრობოდა. დაადგინეს: იშუამდგომლონ, რომ ყოველ წლიური კრებების გამართვის ნება მიეცეთ; აირჩიონ აღმასრულებელი ბიურო; გახსნან ბლომად სახალხო სკოლები დასავლეთ ციმბირში; შეიძინონ მეტი რიცხვი ვაგონი—საყინულეები, მოაწყონ

ეროვნული

ერბოს გადაზიდვის საქმე; ინგლისში წარმომადგენელი იყოლიონ; მოიწვიონ მეტი ბეითალები; დააარსონ საარბიტაჟო კომისია და დააწესონ „მერძეეობის“ გაზეთი.

ამსტერდამი. ლიმბურგის პროვინციაში დიდი ალლუმის დროს ერთი ავტომობილი გადაბრუნდა; მძიმედ დაშავდნენ პრუსიის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ციგლერი და ერთი ჰოლანდიელი კაპიტანი; სუბუქად დაიჭრნენ რუსეთისა და ნორვეგიის სამხედრო ატაშეები. რუსეთის ატაშე გვარად მიულერია.

მოსკოვი. საიდუმლო პოლიციის აგენტებმა შეიპყრეს ცნობილი გაიძვერა ჟდანოვი, რომელიც სხვა და სხვა პირებს გაზეთებში გამოცხადებით სამსახურში იწვევდა, ბეის ართმევდა და შემდეგ ხელიდან უსხლტებოდა ბეის მიმცემთ. ჟდანოვს ბევრნი მოუტყუილებია ამ გვარად.

კოპენჰაგენი. ლუდის ქარხნის პატრონმა კარლოს იაკოსონმა, ხელოვნების მფარველმა, ცოლთან ერთად დააარსა ფონდი, რომელსაც სახელად ეწოდება „ნიკარლს-ბერგ ფონდი“ და რომელიც საერო მხატვრობის გაფართოვებას ემსახურება. ფონდისათვის გადადებულია ნიკარლს-ბერგის ლუდის ქარხნის შემოსავლის ორი მესამედი, შემდგომ კი მთელი წლიური შემოსავალი 400,000 მანეთი ამ ფონდის საკუთრება იქმნება.

ვენა. იმპერატორმა ინახულა ავსტრიისაგან პეტერბურგში წარმოგზავნილი ელჩი ბარონი ერენტალი განსაკუთრებულ თათბირობაზე.

დიუნკირხენი. საიმპერატორო გემი „შტანდარტი“ დილით წავიდა. გემზე მყოფმა ორკესტრმა მარსელიეზა დაუკრა. ხალხი ზღვაოსნებს მხიარულად აცილებდნენ. გემი „ვარიაგი“ შუადღის უკან წავა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

შეერთებული შტატები. ჩოლგოსის საქმე 10 სექტემბერს გაურჩევიათ. სასამართლოს ბრალდებულის დამცველად ლიუსი და ტიტიუსი დაუნიშნავს. აქამდე ჩოლგოსი ხმას არ იღებს თავის საქმეზე. ერთმა დამცველმა სთხოვა სასამართლოს: ბრალდებული ექიმებს გაგვასინჯოთ და გავიგოთ: საღი გონების კაცია, თუ არაო.

✿ «მორნინგ პოსტ.» იუწყება: რუზველტის მაგიერ ვიცე-პრეზიდენტად მომავალ არჩევნამდე არავის აირჩევენო. სენატის თავმჯდომარე—ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს ამ თანამდებობას,—თავმჯდომარის თანაშემწე სენატორი ფრაიდი იქმნებაო.

✿ «დეილი მაილს» ატყობინებენ: რაც კი მაკ-კინლეის დასაფლავებაზე ხარჯი წავიდა, კონგრესი ხაზინიდან გაისტუმრებსო. ექიმებსაც კონგრესი მისცემს შრომის ფულსაო. მაკ-კინლეის ქვრივს პრეზიდენტის ერთის წლის ჯამაგირი მიეცემაო.

✿ ამერიკელ მეფაბრიკეთა კავშირმა წლიურ კრებაზე დაავალა თავის გამგე კომიტეტს: დეეკითხე ჩვენი კავშირის წევრებს: რა აზრისა არიან ჩვენი სავაჭრო პოლიტიკის თაობაზე, რანაირი პოლიტიკა ურჩევნიათო. «კოლნ. ცაიტ.» შეუტყვია: კავშირის თითქმის ყველა წევრებმა, თითო-ოროლას გარდა, ის აზრი გამოთქვა, რომ დინგლეის ტარიფი უნდა შეიცვალოსო და სხვა სახელმწიფოებს სავაჭრო პირობებით უნდა შეეკრათო. წლის გასულს კონგრესის შეკრების წინა ხანებში მეფაბრიკეები შეიკრებიან და რიგზე მოილაპარაკებენ, თუ რანაირად შეიცვალოს დინგლეის ტარიფი და რა პირობებით შეეკრან სხვა სახელმწიფოებს.

✿ «ნიუ-იორკ ჰერალდი» იუწყება: ჩოლგოსი ხშირად ჰკითხულობდა, როგორაა პრეზიდენტიო, მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა. როცა პრეზიდენტი გასვენეს, ცხედარი ციხის ახლო გაატარეს; ჩოლგოსმა ყური მოჰკრა სამგლოვიარო გალობას და მიხვდა, ალბად ჩემმა ტყვიამ გასჭრა და რესპუბლიკის პირველი მოქალაქე წუთისოფელს გამოესალმაო. სწორედ ამ დროს ჩოლგოსი პოლიციის სტუსადოდან სახელმწიფო ციხეში წაიყვანეს. ჩოლგოსმა იკითხა: მაკ-კინლეი გარდაიცვალაო? კიდევ პასუხი არ აღირსეს. ჩოლგოსი გაჩუმდა. მაგრამ ამ დროს კიდევ გაიგო სამგლოვიარო გალობა და სიამოვნებით გაიღიმა, ისე, როგორც გამარჯვებული კაცი იღიმება. ამის შემდეგ ჩოლგოსი კიდევ გაჩუმდა და ფიქრს მიეცა.

იტალია. ყველგან ანარქისტებზეა ლაპარაკი, ოფიციალურმა გაზეთებმა ხომ საქმე გააჭირეს. ყველა მთავრობა ცდილობს, სასტიკი ღონისძიება მიიღოს და მკაცრი კანონები გამოსცეს ანარქისტების წინააღმდეგ. «რაპელ» იუწყება: რომში ხმა დადის, ვითომ მეფემ მიანდო პირველ მინისტრს ცანარდელის, ანარქისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონ-პროექტი შეადგინე და პარლამენტს წარუდგინე განსახილველადაო,

✿ გაზეთები იუწყებიან, ვითომ ყველა სახელმწიფოებს ეწადათ კონფერენცია მოახდინონ და ანარქისტების წინააღმდეგ ყველა სახელმწიფოსათვის სავალდებულო კანონები გამოსცენ. «სტანდარდი»-ი იუწყება: სახელმწიფოებს უმთავრესად ის სწადიათ, რომ საერთაშორისო კოლონია დააწესონ და ყველა დამნაშავე ანარქისტი იქ გაგზავნონ ხოლმე.

ინგლისი. «რუსკია ვედომოსტი»-ს ლონდონელი კორესპონდენტი შემდეგს სწერს ტრედ-უნიონების შესახებ:

«ტრედ-უნიონების კონგრესი გათავდა. კონგრესმა უმთავრესად ლორდთა პალატის განაჩენს მიაქცია ყურადღება. ყველა იმ აზრისაა, რომ ეს განაჩენი სწორედ დამღუპველი იქნება ტრედ-უნიონების ფონდისათვისო. ეს აზრი გამოთქვეს გამოჩენილმა პოზიტივისტმა ფილოსოფოსმა ჰარისონმა და მუშების დეპუტატმა ბელლამაც. ამას გარდა ლორდთა პალატის განაჩენმა ყველას აშკარად დაანახვა, რომ კაპიტალისტებს თავიანთთვის სასარგებლო კანონების გამოცემა, დეპუტატთა პალატის გარდაც, შეუძლიათო. ეხლა მუშებმაც დიდი მხნეობა უნდა გამოიჩინონ, მედგარი ბრძოლა უნდა ატეხონ პარლამენტშიაც, რომ ტრედ-უნიონების ფონდები დაღუპვას გადაარჩინონ. ტაფ-ვალის რკინის გზის მმართველობა 200,000 მანეთს ედავება ტრედ-უნიონს. თუ მმართველობამ ეს დავა მოიგო, ამ ფულს გარდა, სასამართლოს ხარჯად კიდევ 50,000 მანათს მიიღებს. თუ ასე მოხდა, ტრედ-უნიონი უეჭველად დაიღუპება. «რეინოლდს ნიუს-პეპერ»-ის რედაქტორი, ადვოკატი ტომსონი, ურჩევს მუშებს: თქვენი ფული ევროპის ბანკებში შეინახეთო, მაშინ ვერავინ წაგართმევთო. ეჭვი არაა, ამას იქით, რა წამს პირველი გაფიცვა მოხდება მთავრობა შარს მოუდებს მუშებს. კანონი დაარღვიეთ,—თქვენ ამხანაგებს მუშაობაზე ხელის აღება ურჩიეთო,—და სასამართლოც დიდს ჯარიმას დააკისრებს დამნაშავეებს. ეს ჯარიმა კი ტრედ-უნიონებმა უნდა გადაიხადოს. თუ ფული სადმე ბელგიის და ჰოლანდიის ბანკში არ შეიტანეთ, ცხადია, სასამართლო ამ ჯარიმების შემწეობით უეჭველ გაფიცვას ხელად ბოლოს მოუღებს.

ამას გარდა ტომსონი ურჩევს მუშებს: როგორც კაპიტალისტები გექცევიან, თქვენც იმნაირადვე უნდა მოექცეთო. ლორდებმა დაადგინეს: «შავის სიის» შედგენა უკანონობააო (მუშებს «შავი დავთარი» აქვთ გამართული და ყველა ბოროტ და უსინდისო კაპიტალისტს ამ დავთარში მოაქცევენ ხოლმე), მაგრამ კაპიტალისტებსაც აქვთ ამნაირი «შავი დავთარი» და ყველა ურჩი და უსიამოვნო მუშა ამ დავთარში უწერიათ, რომ ყველამ იცოდეს და არსად არ ამუშაოს. ამისთანა «შავი დავთარი» ხელში უნდა ჩაიგდოთ და კაპიტალისტებს სასამართლოში უჩივლოთ. შემდეგ, ტომსონის აზრით, მუშებსა და კაპიტალისტებს შუა დავის გადასაწყვეტად სამედიატორო სასამართლო უნდა დაწესდესო. მაგრამ კონგრესმა უარ-ჰყო ეს უკანასკნელი რჩევა. ეხლანდელი მოსამართლეების პირუთვნელობა და მიუდგომლობა არა გვწამსო. თუ სასამართლოს დადგენილება სავალდებულო არ იქნება ორივე მხარისათვის, უამისოდ ხომ ძალა არ ექნება და როგორ დავეთანხმოთ ამისთანა სასამართლოს დაწესებას, როცა წინადვე ვიცით, რომ მუშების წინააღმდეგ გადასწყვეტს სამართალსაო. და თუ ამ სასამართლოს დადგენილება სავალდებულო არ იქნება, მაშინ კიდევ, ვინც დავას წააგებს, არას დროს არ დაემორჩილება ამ დადგენილებას.

საფრანგეთი. დეპეშებმა მოკლედ გადმოგვცეს, რეტელის ქალაქის თავს, ბ-ნს ლეფრანს, უცხოელი ოფიცრების წინ ცუდად მოეხსენებინა სამხედრო მინისტრი ბ-ნი ანდრე და ამაზე მთავრობამ ლეფრანი თანამდებობიდან დაითხოვაო. ეხლა გაზეთები ამნაირად მოგვითხრობენ ამ ამბავს:

«საფრანგეთის ჯარის გენერალისიმუსმა ბრიუჟერმა რეტელში ნადიმი გამართა. ნადიმზე ადგილობრივ" მოხელეების გარდა უცხოელი ოფიცრებიც იყვნენ მოწვეულნი. ლეფრანი ამერიკელ ოფიცერსა და რუსის ოფიცერს შუა იჯდა და განზრახ, რომ ყველას გაეგონა, ხმამაღლა სთქვა: «რეტელში არც ერთმა სახლის პატრონმა სახლი არ მოიქირავა ამ უსინდისოს, გენერალ ანდრესაო». ახლო კაპიტანი ტარჟე იჯდა, ეს სიტყვები გაიგონა და მეტად გაჯავრდა. ქალაქის თავმა კიდევ განაგრძო ანდრეს ლანძღვა, მაშინ ტარჟე წამოდგა და უთხრა: «ნებას არ მოგცემთ, სამხედრო მინისტრი ჰლანძღოთო.» ეს ამბავი ყველა დამსწრეს ეწყინა. რესპუბლიკელთა გაზეთებმა მოითხოვეს რეტელის ქალაქის თავი უსათუოდ სამსახურიდან გადააყენეთო და, მართლაც, ვალდეკ-რუსსოს თხოვნით, რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბრძანება გამოსცა და ლეფრანი თანამდებობიდან გადააყენა.

სამხრეთ-აფრიკა. ფრანგ-დეპუტატმა ლემირმა შეატყობინა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს: როცა პალატა შეიკრიბება, ჰააგის კონფერენციის თაობაზე უნდა ჩამოვაგდო ლაპარაკიო. ამით ლემირს სწადიან, პარლამენტში ტრანსვაალის საქმეზე კამათი გამართოს.

✿ «წავიდა დრო და არა ფათერაკიო», იტყოდა ინგლისელი ფინანსისტების ბოქაული ლორდი კიტჩენერი, ეს ქართული ანდაზა რომ იცოდეს.

თუ «პარი ნუველი»-ს დავუჯეროთ ინგლისის «ერთად ერთ გენერალს» ფრენჩს მეტად ცხელი დღე დაჰდგომია. კაპის კოლონიაში ბურები შემოჰხვევიან ჯარსა და ფრენჩი მხოლოდ ძლიერი ბრძოლის შემდეგ წაჰსვლიათ ხელიდან. ბურებს 600 კაცი დაუჭრიათ და მოუკლავთ. ლორდ კიტჩენერმა 30,000 კაცი მიაშველა ფრენჩსაო.

ახალი ამბავი

✦ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების დათვალიერება, რომელიც გუშინ უნდა მომხდარიყო, ავდარის გამო გადიდვა ხვალისათვის.

✦ დღეს, 14 სექტემბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ნაშუადღევის 1-ლ ს. დანიშნულია კრება კავკასიის პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენლებისა. კრებამ უნდა განიხილოს ადგილობრივ მწერლობის საჭიროებანი და ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმე.

✦ ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე, ბათუმიდან 95 ვერსტზე, ერთ პატარა მდინარეზე ჩატყდა ხიდი. მიმოსვლა შეწყდა. ხიდი გაუფუჭებია დიდს წვიმას, რომელიც აქ რამდენიმე დღეა თურმე მოდის კოკისპირულად.

✦ სატრიუმფო თაღის გასაკეთებლად გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის გამგეობას გადაუდვია 1300 მან.. იმ საუზმეზე, რომელსაც ქალაქი გამართავს საიუბილეო დღესასწაულზე, გამგეობას გადაუდვია 13-ათასი მანეთი.

✦ მომავალ საიუბილეო დღესასწაულისათვის ქალაქს აქამდე შეუკრებია სულ 1700 მანეთამდე. აქ შედის ის 500 მანეთიც, რომელიც ქალაქის საკრედიტო ბანკმა შემოიტანა.

✦ გუშინდელ დღემდე სულ კავკასიის გამოფენაზე ყოფილა 36 ათასი კაცი. გუშინ წინ გამოფენაზე, მიუხედავად საშინელის ავდრისა, 585 კაცი ყოფილა.

✦ გუშინდლამდე გამოფენის კომისარიატს ექსპონატების გაყიდვიდან შემოსვლია სულ 167 მან. 18 კაპ.; მაშასადამე, სულ გაყიდულია 1671 მანეთის ექსპონატი.

✦ სამრეწველო-საქარხნო და საოჯახო მრეწველობის განყოფილების საექსპერტო მცირე კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა, ბ. ფირალოვის მაგიერ, ბ. სულთან-კრიმ-გირეი. ეს მცირე კომისია, რომელსაც შეადგენენ ბბ. ხელიმსკი, ლერნერი, ვეიდენბაუმი, ალიბეგოვი, ემიროვი, ფირალოვი, ბახმეტიევი, კარაპეტოვი, თუსკაევი, ა. ს. ბაბოვი და სვეჩნიკოვი,—დაიყო ორ სექციად და შეუდგა მუშაობას ხსენებულ განყოფილების ექსპონატების დაფასებისათვის

✦ გუშინ გამოფენაზე იყვნენ მოწაფენი საქალაქო ნიკოლოზის სასწავლებლისა და ქალთა საკვირაო სკოლისა.

✦ გუშინ დასრულდა ძაღლების გამოფენა, რომელიც გამართული იყო კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენასთან. ძაღლები დააფასეს. ჯილდოებს გამოფენის შემდეგ გამოაცხადებენ.

✦ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის საექსპერტო კომისიას ყურძნის ექსპერტიზა იქნება ყოველ კვირაში შაბათობით.

✦ წვიმას ჩვენი გამოფენისათვისაც მიუცია ზარალი. წყალი ჩასულა და დაგუბებულა ხელოვნების, ბეჭდვითი საქმის და საოჯახო-მრეწველობის განყოფილებაში; მაგრამ აქ არაფერი გაფუჭებულა; ზარალი უნახავს მხოლოდ ნობელის პანორამას, სადაც ბევრი სურათი დაუსველებია წყალს და გაუფუჭებია.

✦ დიდის წვიმების მიზეზით, ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილებში დაზიანდა სახლები. ამიტომ პოლიცია სთხოვს ქალაქის გამგეობას გაგზავნოს ტეხნიკოსები ამ სახლების დასათვალიერებლად.

დიდის წვიმებისავე მიზეზით შესამჩნევად ადიდდა მტკვარი, განსაკუთრებით ორთაჭალის ბაღებისაკენ.

✦ როგორც გვატყობინებენ, გორის მაზრაში ამ უკანასკნელ დღეებში დიდი წვიმები მოსულა. ზოგან წვიმას მოჰყოლია სეტყვა, რასაც ალაგ-ალაგ ნათესობა გაუფუჭებია. დანამდვილებითი ცნობები ჯერ არა მოგვსვლია-რა.

✦ 12 სექტემბერს, ტფილისის სააბრეშუმო სადგურის დარბაზში სხდომა ჰქონდა მებაღე-მეურნეთა კრების მეოთხე სექციას, რომელმაც განიხილა რამდენიმე მოხსენება მეფუტკრეობის განვითარების შესახებ. დაწვრილებით ცნობებს ამ სხდომისას შემდეგ დავბეჭდავთ.

✦ როგორც მკითხველებს ეხსომება, ამიერ კავკასიის რკინის გზაზე, ტფილისსა და ბაქოს შუა ამას წინად მოისპო მოძრაობა ვაგონ-დუქნებისა. რათა რკინის გზის მოხელეთ გაუადვილდეს სანოვაგის მოპოვება, რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოების გამგეობას ნება დაერთო ალსტაფასა, ევლახსა და აჯიკაბულში გამართოს ვაგონებში დროებითი განყოფილებანი მომხმარებელ საზოგადოებისა.

✦ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე, თონეთის სკოლის მასწავლებლად დაუნიშნავს ქ-ნი ოლღა მარზაშვილისა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ქალაქის სკოლების კომისიის თავმჯდომარესთან ერთად გადასწყვიტა მიუმატოს წელს მამადავითის სკოლას კიდევ ერთი განყოფილება, დასტოვოს სკოლა ისევ ახმადოვის სახლში, მისცეს სახლის ქირა 750 მ. შვიდასის მაგიერ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ახმადოვმა შეაკეთოს იგი. რაც შეეხება მასწავლებელ აღნიაშვილს, მან სკოლის ახლო ცალკე სადგომი უნდა დაიქირაოს, რისთვისაც მისცემენ მას ჯამაგირის გარდა 450 მანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ როგორც ვიცით, ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა გახსნას **შუშკინის მეორე სკოლა** მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მე-9 ან მე-10 ნაწილში, რადგანაც ქალაქის ეს ნაწილი მართლა უფრო საჭიროებს ამისთანა დაწესებულებას. ქალაქის სკოლების კომისიას ამ დღეებში გადაუწყვეტია გახსნას სკოლა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მე-5 ნაწილში, და სკოლის სადგომის ძებნასაც შესდგომია. სკოლების გამგე კომისიას ამდენი უფლება არ უნდა ჰქონდეს.

◆ გაზეთ „ნოვოსტი“-ს სიტყვით, მთავრობა ამ ჟამად იხილავს კითხვას ვარშავაში, კიევში და **ტფილისში ხელოვნების** საშუალო **სკოლის** დაარსების შესახებ.

◆ კავკასიის **საექიმო სამმართველოში** ისევ აღიძრა კითხვა ფერშლების ჯამაგირის მომატების შესახებ. აქამდე ფერშლებს მეტად მცირე ჯამაგირი ეძლევათ და ამიტომ თითოეული მათგანი სცდილობს სხვა უწყებაში იშოვოს ადგილი; საექიმო სამმართველოში კი უვარგისი ელემენტი რჩება.

◆ 1-ლ სექტემბრიდან 8-მდე ტფილისში 9 კაცი გახდა ავად სხვა და სხვა **გადამდებ სენით**; მათგან: ყვავილით-1, ქუნთრუშით-2, დიფტერიტით-2, წითელათი-3 და ხუნაგით-1.

◆ მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის, ბ. მედვედევის, სოჭში წასვლის გამო, მისი თანამდებობის აღსრულება დროებით დაევალა **ბ. შიმანოვსკის.**

◆ ქალაქის გამგეობის მიერ შეგროვილ ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ ტფილისში სულ 1400 ძაღლს უნდა დაედვას **გადასახადი**; ხარჯთ-აღრიცხვით-კი გამოანგარიშებული იყო 800. ქალაქის გამგეობა შეუდგა გადასახადის ფურცლების შედგენას, რათა 1-ლ იანვრიდან დაიწყოს კიდეც გადასახადის აღება.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი **რუსული წიგნი**—„Въ барсовой кожѣ, картины для сцены», სურათებით. წიგნი შეუდგენია რ. კინვერის და დაბეჭდილია პეტერბურგს.

◆ გიორგიევსკი ქუჩაზე ერთ ადგილას ქუჩა ჩაინგრა; ჩანგრეულ ადგილიდან ცუდი სუნი ამოდის. გარდა ამისა შესაძლებელია გამვლელს რამე დაუშავდეს და ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება მალე შეკეთდეს ეს ადგილი.

=

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი გვქონდა წერილი „არხეოლოგიური ნაშთი“. ავტორს დიდი შეცდომა მოსვლია: ქარაგმით დაწერილი „ქკ“—„ქორონიკსა“ მიუღია თვით ქორონიკონად. ეკკლესია აშენებულია 1676 წ. და არა 1001 წელს.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ამ სეზონის პირველი ქართული წარმოდგენა დრამატიულ საზოგადოების გამგეობისათვის წამახალისებული არ შეიქნა: გამგეობა ბევრს ცდილა, ბევრი შრომა დაუხარჯავს იმ იმედით, რომ ქართველი საზოგადოება მოვიდოდა თეატრში და დააფასებდა მის ცდასა და შრომას, მაგრამ იმედი გაუცრუვდა: ბუნებამ და უფრო კიდევ ქართველმა საზოგადოების ჩვეულებრივმა გულგრილობამ ქართულ საქმეებისადმი თავისი ქნა და ოთხშაბათს საღამოს ქართულ თეატრის დარბაზი სამწუხარო სანახაობას წარმოადგენდა.—ოციოდე ბილეთებიანი მაყურებელი, თვით გამგეობის წევრები და ადგილობრივ გაზეთების რეცენზენტები, აი მთელი საზოგადოება ამ სეზონის პირველ ქართულ წარმოდგენისა. დამეთანხმებით, რომ ეს ვერაფერი თანაგრძნობაა საზოგადო საქმისა და ვერაფერი წახალისება იმათი, ვინც ამ საზოგადო საქმეს სრულიად უანგაროდ ემსახურება.

ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ დრამატიული საზოგადოების ახალი გამგეობა გულს არ გაიტეხს და შემდეგ წარმოდგენებსაც ისე მოაწყობს, როგორც პირველს.

დავიწყოთ იქიდან, რომ წარმოდგენა დანიშნულ დროზე (8 საათზე) დაიწყო და მეთორმეტე საათის დასაწყისში გათავდა. ჩემს მახსოვრობაში ეს პირველი მაგალითია ქართულ სცენაზე: ყოველთვის დანიშნულ დროზე ერთის საათით გვიან დაიწყებდნენ, ანტრაქტებს საშინლად აჭიანურებდნენ და გათავებით ხომ ნაშუაღამევის მეორე საათზე ადრე არასოდეს არ გაათავებდნენ. თუ ეს ნაკლი შემდეგ წარმოდგენებსაც ასცდება, ახალი გამგეობა სწორედ მადლობის ღირსი იქნება.

თვით წარმოდგენამ იშვიათის მწყობრობით ჩაიარა. წარმოადგინეს ვ. გუნიას «ციხის საიდუმლო» და სუნდუკიანცის ვოდევილი „საღამოს ერთი ცხვირი—ხეირია“.

გუნიას „ციხის საიდუმლო“-ზე შარშანაც იყო ლაპარაკი ჩვენს გაზეთში და ამიტომ არას ვიტყვით გარდა იმისა, რომ ეს პიესა ვერ არის ხელოვნურად გადმოკეთებული: იგი ბევრგან შეუსაბამოა იმ ცხოვრებისა, რომლის გამოხატვას სცდილობს. მიუხედავად ამისა ოთხშაბათის წარმოდგენაზე ჩვენმა არტისტებმა თავი ისახელეს, ყველამ ზედ-მიწევნით იცოდა როლები, არც ერთ მათგანს არ დაურღვევია ანსამბლი და ზოგიერთებმა-კი ნამდვილ ხელოვნურად შეასრულა თავიანთი როლები. საუკეთესო იყო თვით პიესის ავტორი ვ. გუნია. პატივცემულმა არტისტმა შარშანაც ხელოვნურად შეასრულა ამ პიესის უმთავრეს გმირის, სარდლის ვაჩნაძის როლი, მაგრამ ოთხშაბათს მან თავის თავს გადააჭარბა—ასეთის გრძნობითა და ცეცხლით გუნიას ჯერ არ უთამაშნია. უმთავრესი ღირსება ამ არტისტის თამაშისა ის არის, რომ ნამდვილ გრძნობიერობასთან და სიმხურვალესთან იგი თავის დღეში ზომიერებას არ გადასცილდება; თვით უძლიერეს გრძნობის გამოხატვის დროს გუნიას თამაში კეთილშობილი და მარტივი იყო. არც ხელების მანჭვა-გრეხა, არც თმებზე ხელების ვლება, არც უადგილო-ალაგას თვალების ბრიალი. ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა სწორედ შეეფერებოდა იმ გრძნობას, რაც უნდა გამოეხატა.

გრძნობიერად და ღირსეულად შეასრულა თავისი ძნელი როლი ბ. გამყრელიძემ. როგორც ჩაცმულობით და გრიმით, ისე სცენაზე თავის დაჭერით გამყრელიძემ წარმოგვიდგინა, რამდენათაც შესაძლებელი იყო, მეგობრობის და მოვალეობის განმახორციელებელი პირი. ჩვეულებრივ კარგი იყო შათირიშვილი. არა ნაკლებ შეასრულა თავის როლი გედევანოვმაც, რომ ქართულ ლაპარაკის კილო უვარგოდეს. მეტად შვენოდა სცენაზე ქ.-ბ. კარგარეთელი და მისი როლის შესრულებაც გვარიანი იქნებოდა, რომ დაბლა არ ელაპარაკნა. ასეთივე იყო ბ. სვიმონიძეც.

ქ-ნ ლეჟავას ნიჭზე ჯერ ვერას ვიტყვით, რადგან საამისო როლი არ ჰქონია. ახალგაზრდა მოთამაშე თამამი და კარგის ხმის პატრონია, რაც დიდი ღირსებაა არტისტისათვის. ის პატარა როლი, რომელიც მას ოთხშაბათს ეკისრა, გვარიანად შეასრულა. შემჩნეულ ღირსებების პატრონ ადამიანს შრომისა და მეცადინეობის საშუალებით შეუძლია საპატიო ადგილი დაიკავოს ჩვენის სცენის მოღვაწეთა შორის. მაგრამ სჯობს მეორე წირმოდგენას მოვუცადოთ.

სუნდუკიანცის ვოდევილი შინაარსით ღარიბია, როგორც საზოგადოთ ვოდევილები. მაგრამ იქ სადაც ნ. გაბუნია და ვ. აბაშიძე ტფილელ სომხის როლებს ასრულებენ, პიესის შინაარსის ღირსება-ნაკლულევანება გავიწყდება. ოთხშაბათსაც ეგრე იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ორი კორიფეების მეტად ხელოვნურ თამაშს, მიემატა ბ. აწყურელის საუცხოვო აღსრულება ახალგაზრდა სომეხ-ვაჭრის როლისა. აწყურელს ჩვენ პირველად ვხედავთ სცენაზე და პირველისავე ნახვით დავრწმუნდით, რომ იგი ნიჭიერი არტისტია. საჭიროა მხოლოდ, რომ თავის ამპლუას არ ასცდეს და ზოგიერთებივით ყოველნაირ როლის ასრულება არ იკისროს.

რეცენზენტი

პრესსა

ჩვენმა „მეგობარმა“ ვ. ველიჩკომ კვლავ გადმოგვხედა მოწყალების თვალით: «ნოვ. ვრემია“-ში უკვე დაბეჭდილია მისი ორი წერილი ჩვენის ისტორიისა და კულტურის შესახებ. როგორც ეკადრება „ძველ და გამოცდილ მეგობარს,“ ის ბევრ დაშაქრულ პილულებს გვაწვდის: ქართველები კეთილშობილნი და მამაცნი არიანო, სრულიად არ გვანან მატერიალისტ-სომხებსაო და სხვა ამისთანები. ამ გვარ კომპლიმენტებს თავი დავანებოთ; დაე, მათ თავი გაუბრუონ ჩვენს „ჭალარა-შერეულს ინსტიტუტკებს,“ რომელნიც იმ წამსვე შეიყვარებენ ყველას, ვინც კი ქართველს რაინდად მოიხსენიებს და სომეხს აძაგებს. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ბ. ველიჩკოს მოსაზრებანი ჩვენის დაქვეითების მიზეზების შესახებ და იმ საშუალებათა შესახებ, რომელთა მეოხებით შეიძლება ჩვენი აღორძინება. ამ მხრით, ბ. ველიჩკოს წერილში ხელით ხელ საგოგმანებელი ნიმუშებია გაბნეული.

თუ ჩავუკვირდებით ქართველთა ცხოვრებასაო, ამბობს ველიჩკო, ნათლად დავინახავთ ამ ერის სულიერსა და მატერიალურ დაცემასაო. ამის მიზეზი ბევრიაო. პირველი მიზეზი—ომიანობის მოსპობა და მშვიდობიანად ცხოვრება არისო. ქართველები, არწმუნებს ველიჩკო მკითხველთ, ომში ჰპოვებდენ ძალასაო და ხანგრძლივი მშვიდობიანობა მათთვის საზარალო არისო. ომი ასაზრდოვებდა ქართველის სარწმუნოებრივს გრძნობასაო, ეს გრძნობა კი გამაცოცხლებელი იყოო... მაშასადამე, პირველი დასკვნა ჩვენის „მეგობრისა“ შემდეგია: ქართველი ომით იყო ცოცხალი, მშვიდობიან ცხოვრებისათვის-კი ის სუსტია და გამოუსადეგარი...

ეს კიდევ არაფერი: უფრო შესანიშნავია მეორე მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა: თურმე ყოველისფერი გააფუჭა მესამოცე წლების რეფორმებმა! აი, რას ლაღადებს ამის შესახებ ბ. ველიჩკო:

> „პრინციპიალურად მესამოცე წლების დიდმა რეფორმებმა შეიტანეს ქართველთა ცხოვრებაში გარეგანი სიცხოველე, მაგრამ ამასთანავე ღრმა და მავნებელი გავლენა იქონიეს მათ შინაურ ცხოვრებაზე. მაღალი წოდება მალე დაეცა და დაადგა განადგურების გზას, ხალხი-კი აღმოჩნდა უმწყემსო ფარად (народная масса оказалась безпастушнымъ стадомъ)“.

რაკი ბატონ-ყმობის მოსპობამ, ველიჩკოს აზრით, ასე გვაზარალა, სხვა რეფორმები რა ხეირს დაგვაყრიდენ?! მართლაც, ველიჩკოს შემდეგ ლაღადისაგან გამოდის, რომ ახალ დროის ყველა დაწესებულებამ ჩვენ მხოლოდ გვავნო...

ბევრის კვლევა-ძიების შემდეგ ველიჩკოს მოუძებნია **მხოლოდ ერთი** დაწესებულება, რომელმაც ჩვენ სარგებლობა მოგვიტანა თურმე. ეს დაწესებულება ყოფილა ვორონცოვის დროს არსებული **სამხედრო სკოლები ბატალიონებში და პოლკებში.** იქნება ბევრმა არ დაიჯეროს ეს ამბავი და ამიტომ მოგვყავს ეს ადგილი ველიჩკოს წერილიდან სიტყვა-სიტყვით:

> „ვარანცოვის დროს იყო სწორედ იმ ტიპის სკოლა, რომელიც ნამდვილად შეეფერებოდა ადგილობრივ მოთხოვნილებათ. ეს იყო სკოლები ბატალიონებში და პოლკებში, რომელნიც ცოტა ცოდნას იძლევოდნენ, მაგრამ დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგანაც წრთვნიდნენ ხასიათს და უნერგავდნენ ქართველებს მოვალეობისა და ღირსების გრძნობას, ყოველივე ეს კეთილი იყო ქართველთა სულიერ მხარისათვის, რადგანაც ქართველებს უწინარეს ყოვლისა დისციპლინა სჭირიათ. ამიტომაც სწორედ ამ სკოლიდან გამოვიდა ბევრი შესანიშნავი მხედართ-მთავარი და ადმინისტრატორი, რომელთა ბუნებრივი ნიჭი სავსებით აღყვავდა. მხოლოდ ამგვარ სკოლას შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ქართველთა ძველთაგან ნაანდერძევ მრავალ ნაკლულევანებათათვის»...

ვ. ველიჩკოს სხვა მოსაზრებათ თავს ვანებებთ, მით უმეტეს, რომ მას ჯერ არ დაუსრულებია თავისი წერილები. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ახალი რა ვერაფერი ვიპოვეთ შიგ: იგივ ტკბილი სიტყვები და იგივ მწარე დასკვნანი—ქართველები კეთილ-შობილი და სიმპატიური ერია, მაგრამ ევროპის ცივილიზაცია-კულტურა მისთვის დამღუპველია, ასე ამბობს ველიჩკო.

სწორედ ამასვე ამბობდენ და დღესაც ამბობენ სხვა და სხვა უცხოელ მოგზაურ-მკვლევარნი, როდესაც ველურ ხალხებისა და ევროპიელთა ურთიერთობაზე სწერენ...

⁂

ვინ არ იცის, როგორ მცირედ აჯილდოვებენ სახალხო სკოლის მრავალ-ტანჯულ მშრომელს-მასწავლებელს?! ეს ჯილდო სრულიად არ შეეფერება იმ დიდს შრომასა და ტანჯვას, რომელიც არგუნა ბედმა ამ მოღვაწეს. მაგრამ, ხანდისხან ამ მხრითაც ისეთ რასმეს გაიგონებ, რაც გაგაოცებს და მასთანავე მეტად დაგაღონებს. აი, რას ვკითხულობთ „ნოვ. ვრემია“-ში:

> „ასტრახანსკი ლისტოკ“-ის სიტყვით, ჩერნოიარის სამრეწველო სკოლის ყოფილს მასწავლებელს ვ. პ. სტრახოვას, 15 წლის შეუწყვეტელ სამსახურისათვის დაენიშნა პენსია.... 3 მანათი თვეში, ისიც 1902 წლის 1-ლ იანვრიდან... შესანიშნავი უხვი ჯილდოა 15 წლის სამსახურ-ტანჯვისათვის! მაგრამ ჩვენს სამშობლოში არის სკოლები, რომელთა მასწავლებელთ 30 მან. ეძლევათ წელიწადში ჯამაგირად“...

ერთ ამხანაგობის გამო

საყურადღებო და ჩვენში იშვიათი ხასიათის ამხანაგობად უნდა ჩაითვალოს ოზურგეთში 7—8 წლის წინად დაარსებული ეგრედ წოდებული „თავისუფალი ეტლთა მსვლელობის საზოგადოება.“ ამ საზოგადოების მიზანია, რაც შეიძლება, გაუადვილოს და გაუიაფოს ოზურგეთისკენ მოგზაურებს წასვლა-მოსვლის საშუალება: ათ-შაურიანი სასყიდლით 17—18 ვერსტის მანძილი შეუძლია მოგზაურს გაიაროს ამ ამხანაგობის ეტლით. დაბრკოლება ამხანაგობის რიგიანი წარმოებისათვის ის არის, რომ დღემდის შესაფერი და დამტკიცებული წესდება არა აქვს. ბევრი ეძებეს და ეცადენ რომელიმე კანონიერი ამხანაგობის წესდება შეემუშავებინათ ამ საზოგადოებისათვის, მაგრამ ვერ მოახერხეს; საზოგადოების მოქმედების ხასიათი ისეთია, რომ აქციონური ამხანაგობის ტიპი უფრო ემხრობოდა მას, მაგრამ თანხა ასეთი საზოგადოებისა დიდი უნდა იყოს და ეს ხელს უშლიდა საქმეს. ეხლა მთავრობამ შეიმუშავა ახალი წესი ამხანაგობების—არტელისა; ეს ტიპი უფრო მოუდგება ოზურგეთის ამხანაგობას და ამიტომაც ვურჩევთ გამგეობას გადახედონ ამ წესდებას და იმის შესაფერად შეადგინონ საჭირო წესდება „ოზურგეთის თავისუფალ ეტლთა საზოგადოებისათვის.“

წელს ამ ამხანაგობის წარმომადგენლებმა დიდი მოსაგები საქმე მოუპოვეს საზოგადოებას: იჯარით აიღეს სახელმწიფო ფოსტის ტარების საქმე, რომელიც, თუ მარჯვედ წაიყვანა გამგეობამ, 7—8 ათას მანეთს წმინდა მოგებას დაუტოვებს ამხანაგობას. საჭიროა მხოლოდ ყურადღებით მოეპყრონ საქმეს. ჩვენი ნაკლულევანება ის არის, რომ ყოველივე საზოგადო საქმის გამგე-მმართველის ანუ მოსამსახურის დანიშვნა-არჩევის დროს კერძო განწყობილება-გარემოებით ვხელ მძღვანელობთ: ძლიერ შესაფერია ამხანაგობის გამგედ დიდი ხნის ნამსახური და საზოგადოებისაგან გამოცდილი რ. წ., მაგრამ წელს რაღაც შემთხვევით ერთი თანაშემწე-მოსამსახურე კაცი დაუნიშნავთ ისეთი, რომლის შესახებ ეხლავე მრავალ-ნაირი საჩივარი და უკმაყოფილება ისმის. ჩვენ ვიცით ნამდვილად, რომ ზოგიერთი პირები, რომლებიც დიდად თანაუგრძნობდენ ამ ამხანაგობას და მისი ხელის-გაწყობისათვის არას-დროს კერძო მეეტლებს არ იწოდებდენ, ეხლა გამგეობის იმ წევრისაგან შეუ-

რაცხყოფილნი სულ კერძო ეტლებით ბადიან საჭიროების დროს. ჩვენ თანავუგრძნობთ ამ ამხანაგობას და მიტომ ვაფრთხილებთ, მომავალში მაინც აიცილონ თავიდან ასეთი შემთხვევები.

ოზურგეთელი

კავკასიის მებაღე-მეურნეთა კრება.

12 სექტემბერი

ოთხშაბათს, 12 სექტემბერს, მეშვიდე სექციის სხდომას განსახილველად წარედგინა სამი მოხსენება: ნ. შავროვისა, ბ-ნ სმირნოვისა და რიაბოვისა.

ხალხში სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად, ბ-ნ შავროვის აზრით, საჭიროა თითოეულ გუბერნიაში ანუ მაზრაში დანიშნულ იქმნეს სპეციალისტ-ინსტრუქტორები, რომელნიც თავის დროზე, მოთხოვნილებისა და-გვარად, ერთი ადგილიდან მეორეში გადავლენ და პრაქტიკულ ნიადაგზე რჩევა-დახმარებით ნელ-ნელა ხელს შეუწყობენ ხალხში მეურნეობის ცოდნის გავრცელების საქმეს. ინსტრუქტორებს დიდს დახმარებას გაუწევენ მიზნის მისაღწევად სოფლის სახალხო სკოლების მასწავლებელნი, განსაკუთრებით იმ სკოლებისა, სადაც სამეურნეო განყოფილებაც არის გახსნილი.

დაახლოვებით ესევე აზრია გატარებული დანარჩენ მოხსენებაში იმ განმარტებით, რომ ინსტრუქტორთა მოქმედება უფრო ნაყოფიერ ნიადაგზე უნდა იქმნეს დაყენებული; მაგ. ინსტრუქტორები უფრო პრაქტიკულ მოქმედებისათვის უნდა იყვნენ მომზადებულნი და ყოველს შემთხვევაში უნდა ერიდონ სიტყვიერს რჩევა-დარიგებას ამა თუ იმ სამეურნეო ცოდნის ხალხში გავრცელების დროს, რადგანაც სიტყვიერი განმარტება—ლექციები, ვერავითარს კვალს ცოდნისას ხალხში ვერ დასტოვებს. ინსტუქტორი, ან თვით და ან სოფელში შეგნებულ მემამულეთა თუ მასწავლებელთა შუამდგომლობით, უნდა დაუახლოვდეს ხალხს ზნეობრივად, რომ მის მოქმედება ნაყოფიერი გამოდგეს. დრო გამოშვებით სხვა და სხვა საკითხების განსამარტავ-განსახილველად უნდა მოხდეს ხოლმე ინსტრუქტორების კრებები.

აღნიშნულ მოსაზრებათ კარგა ხნის კამათი გამოიწვიეს დამსწრეთა შორის. ზოგიერთი ორატორი ხალხში სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეში უპირატესობას აძლევდა სახალხო სკოლების მასწავლებელთ, რომელნიც შიგვე ხალხში ტრიალებენ და, თუ იგინი კარგად იქმნენ მომზადებულნი სამეურნეო ცოდნით, ვერავინ მათზე ნაყოფიერად ხალხში ცოდნას ვერ გაავრცელებს. მით უმეტეს, რომ მათ მუდმივი დამოკიდებულება ექმნებათ ხალხთან და ყოველ საჭირო დროს მკითხველს მიაწვდის ცნობებს. განსაკუთრებით სოფლის მასწავლებელთ შეუძლიანთ ამ მხრით დიდი სამსახური გაუწიონ ხალხს, თუ მათს სკოლებთან მოწყობილი იქმნება სამეურნეო განყოფილებები ისე, როგორც ეს სოფლის მასწავლებლებმა გამოსთქვეს 4, 5 და 6 სექტემბრის სხდომაზე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინადადებით. უმრავლესობამ სახალხო სკოლების მასწავლებელთა ცდა სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეში თუმც სასურველად და შესაძლებელადაც იცვნეს. მაგრამ განაცხადეს, რომ სრულიად ეს საქმე მათ არ უნდა მოეხვეს თავზე, რადგანაც პირდაპირ მათ დანიშნულებას, წერა-კითხვის გავრცელებას ხალხში, ამ მხრით დავალება დიდად ხელს შეუშლის. სამეურნეო ცოდნის გავრცელება ფეხს მაშინ უფრო მოიკიდებს, როცა ამისათვის სპეციალისტნი-ინსტრუქტორები ანუ მოგზაური მასწავლებლები, ისე იქმნებიან მომზადებულნი, რომ მათს მოქმედებას არ ექნება დროული ანუ კანცელარიული ხასიათი, არამედ საჭიროებისდა მიხედვით ჩადგებიან ხალხში და პრაქტიკულის მეცადინეობით დაანახვებენ ხალხს დიდს ნაყოფს ცოდნისას. როცა ეს საქმე პირდაპირ სპეციალისტებისაგან იქმნება დამოკიდებული, აი მაშინ ექმნება დიდი მნიშვნელობა სოფლის მასწავლებელთა შემწეობას.

ზოგმა ის მოსაზრება გამოსთქვეს, რომ მარტო მასწავლებლებს შეუძლიანთ დამოუკიდებლად სამეურნეო ცოდნის გავრცელება ხალხში, თუ ეს საქმე რიგიანად იქმნა დაყენებული.

შემდეგ მთავარმართებლის საბჭოს წევრმა, ბ-ნ სულტან კ.რიმ-გირეიმ, კრების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, თუ რა საშუალებიდგან უნდა დაენიშნოსთ ინსტრუქტორებს ჯამაგირები. სამინისტროს ამისათვის საშუალება არ ექმნება, ასე რომ კარგი იქნება ამ კრებაზედ გარდავწყვიტოთ, რომ საქმის მოსაწყობი ხარჯი, იმას გარდა, რასაც ეხლა ხაზინა იღებს, გადადებულ იქმნეს საერობო თანხიდან. სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი პერევოზნიკოვი კი ამბობს, კარგი იქმნება აღნიშნულ მიზნისათვის ხარჯი გადაიდვას სასოფლო-სამეურნეო თანხიდან.

კარგა ხნის კამათის შემდეგ სხდომამ ხმის უმეტესობით მიიღო შემდეგი დადგენილება: საინსტრუქტორო მოღვაწეობა არის უმთავრესი ფაქტორი ხალხში სამეურნეო ცოდნათა გავრცელებისა და მეურნეობის სხვა და სხვა დარგთა განვითარება გაფართოვების საქმეში. ამ საქმის სპეციალურად მოწყობა სასურველია შემდეგ პირობათა მიხედვით: 1) ინსტრუქტორები უნდა იყვნენ სპეციალისტნი და ამასთანავე პრაქტიკაში დახელოვნებულნი; 2) საინსტრუქტორო მოღვაწეობის მიმართულება უნდა მიეცესთ სპეციალურ დაწესებულებათ და 3) სისტემატიურად უნდა მოწესრიგებულ იქმნეს ინსტრუქტორთა მოღვაწეობა და ამასთანავე უნდა ერთმანერთს იგინი დაუკავშირ-დაუახლოვდნენ ხშირად საზოგადო კრებების მოხდენით.

პროვინცია

ანაგის ქსენონი. მკითხველთ ახსომებათ, რომ წარსულ წელს ოთხი ქიზიის სოფელი: კარდენახის, ანაგის, ვაქირის და მაშნაარის საზოგადოებათ ძმურად ხელი-ხელს გაუწოდეს და სოფელ ანაგაში, როგორც შუაგულ სოფელში, ქსენონი დააარსეს თავიანთ ხარჯით. ქსენონის კეთილ-დღეობაზე და საზრუნველად ამორჩეულ იყო კომიტეტი, რომელიც შესდგებოდა ყველა მონაწილე სოფლიდან თითო წარმომადგენლისაგან, ადგილობრივის ბოქაულის თავმჯდომარეობით. აი ამ კომიტეტს უნდა ეზრუნა ყველა შესაფერი და საჭირო ნივთი და ფული შეეძინა.

დასაწყისი ამ საქმისა ქსენონის დამაარსებელთა ფიქრით უნდა ყოფილიყო ერთი ექიმისა და ერთი ფერშლის მოწვევა, ორი საწოლი ქსენონში მძიმე და გადამდებიან სადოსტაქროთ ავადმყოფებისათვის, წამალი კი ყველა ავადმყოფს მუქთად უნდა ჰქონოდა. კომიტეტი უნდა სცდილიყო თავის მოქმედება თანდათან გაეფართოებინა. მოიწვიეს ერთი ექიმი, ერთი ფერშალი, უსაჭიროესი წამლეულობით და ქსენონმაც დაიწყო მოქმედება წარსულის წლის ნოემბერში. პირველ დღიდანვე აუარებელი ხალხი მოაწყდა ქსენონს. ახალგაზდა, ახლად ასპარეზზე გამოსული ექიმი ერთგულად და მუყაითად მოქმედა, მაგრამ მაინც ის ავადმყოფთა გაშინჯვას ვერ ასწრობდა და მისი ფერშალი კიდევ წამლების დარიგებას. ამასთან ხშირად სახლებშიაც ეძახდნენ ექიმს მძიმე ავადმყოფთა სანახავად და ისიც მოვალე იყო ევლო პირობის ძალით. პირველ თვეშივე დარწმუნდა ექიმი და თვით კომიტეტიც, რომ ამდენ ავადმყოფებს ერთი ექიმი ვერ აუვიდოდა. წამლეულობისათვის გადადებული თანხაც არა კმაროდა. კომიტეტი უნდა სცდილიყო თანდათან საქმე გაეფართოებინა და იმდენად გაედიდებინა შეძლება, რომ მეორე ექიმი, ორი ფერშალი მაინც, ბებია ქალი და წამლეულობაც გაეძლიერებინა.

ამიტომ საჭირო იყო კომიტეტს და ქსენონის სულის ჩამდგმელს ადმინისტრაციას ხელ-მეორედ მოეხდინა სოფლებთა ყრილობა და დამატებითი ხარჯი შეეწერა, თუ არ უნდოდათ, რომ რაც ხელთ ჰქონდათ ისიც დაეკარგნათ. ყველა ეს ძნელი ასასრულებელი შეიქმნა კომიტეტისათვის, რომელიც თვით მოქმედებას და ენერგიას მოკლებული იყო და უფლების უქონელი. სათავეშივე ემცნეოდა, რომ იმათგან განსაზღვრული ქსენონისათვის ფული, კომლზე ერთი მანეთი, პირველ წელს მაინც ძრიელ ცოტა იყო და საქმე სასურველად ვერ წავიდოდა. ქსენონის სულის ჩამდგმელთ ყური მოიყრუვეს და თავიანთ ზნეობრივ სამდივნო მოვალეობას უღალატეს. კომიტეტი ადმინისტრაციას უგდებდა ყურს, ადმინისტრაცია კომიტეტს და ხალხი კი ორივეს. რამოდენიმე თვის შემდეგ კომიტეტს ფული აღარ ჰქონდა ექიმისა და ფერშლისათვის ჯამაგირი ეძლივნა. ექიმი როგორც იყო ითმენდა მიდიოდა და დროებით ძალას არ ატანდა ჯამაგირისათვის, მაგრამ ახლა წამლები დააკლდა და აი მონასტერიც აირია. ხალხმა ეს არ იცოდა და არც უნდოდა ამის შეგნება. ექიმს სასტიკად სთხოვდა თავის მოვალეობის ასრულებას და თავის დაკმაყოფილებას დახმარებით თუ წამლეულობით. და რაკი ვერა კმაყოფილდებოდა, ძალიან მკაცრად ექცეოდა, ძალიან ხშირად მოუხეშავის და უშვერის სიტყვებით იხსენიებდა. ექიმიც ადგა და სულ მთლად თავი დაანება. ერთი კვირის შემდეგ ფერშალიც უკან დაედევნა და გამოიკეტა ქსენონის კარებიც რკინის კეტით. აი ეს მესამე თვე მიდის და ქსენონის შენობა ცარიელ-ტარიელი გდია.

ჯერ ეხლა ხალხი ეჭვის თვალით უყურებდა ამ კეთილს დაწესებულებას და, თუ მეტი დრო გავა და ექიმი არ მოვა ქსენონში, ქსენონის მტერნი ხელს შეუწყობენ ხალხის ეჭვიანობის გაძლიერებას, უფრო შეაჯავრებენ ქსენონს. ამას ძალიან ხელს უწყობს ერთი ვაჟბატონი, რომელიც არც ექიმია, არც ფერშალი, მხოლოდ ექიმობს კიდევაც და ფერშლობს. ამ ვაჟბატონს, ბ. მ., სადღაც აფთიაქში ხანგრძლივის მოსამსახურობით ზოგიერთა წამლების სახელები შეუსწავლია, მერე ბედნიერის გარემოებით შეუგროვებია ფულებიც და ამ ფულებით ანაგაში აფთიაქი გახსნა. თითონ ექიმობს და თავის აფთიაქიდანვე წამლებს ასაღებს რა ფასშიაც ჰსურს. რასაკვირველია ამისთანა ვაჟბატონს არ ეპიტნავება ქსენონი და საზოგადო ექიმი თუ ფერშალი, რომელიც კოჭში ედგნენ და ხელს-უშლიდნენ ექიმობაში, თუ წამლეულობის თავისი სურვილისამებრ ფასებით გაყიდვაში. და აი ესეც ტყუილად დროს არ ჰკარგავს, რაც შეიძლება მეტი ავი გაავრცელოს ხალხს ქსენონზე და მის ექიმის წინააღმდეგ.

მეზობელი

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

13 სექტემბერი

პეტერბურგი. სადგურ შილოვოზე მატარებლების დაჯახების შესახებ „პრავიტ. ვესტნიკი" ამბობს, რომ 4 ჯარის კაცი, რომელთაგან ერთი მძიმედ არის დაშავებული და 3 მსუბუქად, გაგზავნეს საექიმოდ რიაზანის საავადმყოფოში. რაც შეეხება 44 კაცს, რომელთაც განაცხადეს, რომ მსუბუქად არიან დაშავებულნი, ესენი საექიმო დათვალიერების შემდეგ გაგზავნეს მატარებლით იქ, საითკენაც მიდიოდნენ, რადგან ამათთვის ექიმობა საჭირო აღარ იყო. კატასტროფის მიზეზებს ადგილობრივ იკვლევენ სასამართლო უწყების წარმომადგენელნი და საგანგებოდ გაგზავნილი ინსპექტორი რკინის გზებისა.

კურგანი. ამინდი სრულებით შეიცვალა; სიცივეა, თოვლიც იყო; მიწა გაიყინა; ეშინიანთ კართოფილის მოუსავლობისა.

პოლტავა. ადგილობრივმა მათემატიკებმა იდღესასწაულეს ცნობილ გეომეტრის ოსტროგრადსკის დაბადებიდან ასის წლის შესრულება; ოსტროგრადსკი პოლტავის გუბერნიიდან იყო.

პარიზი. გენერალი ფლორენტენი დაინიშნა საპატიო ლეგიონის ორდენის კანცლერად გენერალ დავუს მაგიერ.

კონსტანტინეპოლი. ხედივი ეგვიპტეში წავიდა.

კონსტანტინეპოლი. რადგანაც საფრანგეთის მთავრობამ მიიღო პორტის ტრუბინისთან მორიგება, ეს საქმე ეხლა გათავებულია.

სტოკჰოლმი. მეფემ მიიღო უპორთფელო მინისტრის ვიკბლადის თხოვნა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ და მის ადგილას დანიშნა ბიუროს უფროსი გამმარსკიოლდი.

ბერლინი. „ოსტაზიატიშე კორესპონდენტი" იტყობინება, რომ პრინცი ცუნი თანახმად პეკინიდან მოსულ მოწერილობისა, პირველ ოქტომბერს გენუიდან პირდაპირ ჩინეთში წავა საფოსტო გემ „ბაიერნით". ამ გვარად ცუნის ამერიკაში გამგზავრება არ მოხდა.

ნეაპოლი. ნავთსადგურის მუშებ შორის, რომელთაც ხელი მოეკიდათ შავ ჭირის მხრივ საეჭვო ადგილებიდან მოსულ საქონლისათვის, 12 ავად გახდა შავის ჭირის მსგავს ავადმყოფობით. საჭირო ზომები მიღებულია. ქალაქში არავინ გამხდარა ავად.

ლონდონი. ინგლისის სამხედრო სამინისტროს «მზვერავი ბიურო" გზავნის ჩინეთის სხვა-და-სხვა ნაწილებში ექსპედიციებს, მაიორ მანიფოლდის ექსპედიციის მზგავსად, რადგანაც აღმოჩნდა, რომ ინგლისელ ჯარის ეს მხარე რუსეთთან და იაპონიასთან შედარებით, სუსტი გამოდგარა. ადმინისტრაციას განზრახვა აქვს მზად იყოს მომავალში ყოველის შემთხვევისათვის თუნდა მარტო სიფრთხილის გამო.

რედაქტორი
ალ. ჭყონია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 15 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე, მის დასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით წყნეთის ქუჩის მოკირწყვლისა და დაგების საქმე ბრევნოვოზნი ქუჩიდან ვარაზის-ხევამდე, სიგრძით 156,4 საჟ., სიგანით —4 საჟ., სულ 625,6 საჟ. და აგრეთვე მიწის მუშაობა 173 კუბ. საჟ.; სულ სამუშაოს ღირებულობა 2252 მ. 96 კაპ.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობანი გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება თარგმანები

ივ. მაჩაბარიანისა:

გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . . ფასი 2 40

ბრუტალები, დრამა 3 მოქ. „ — 30

ივდითი, დრამა 5 მოქმედ. „ — 30

ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „ — 50

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Сентября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.